



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იედლიჩკა იარომირ

იედლიჩკა (Iedlička) იარომირ (9. X. 1901, პრაღა, – 1. VIII. 1965, იქვე), ჩეხი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი.

დაამთავრა პრაღის უნ-ტის ინგლ. და სლავური ფილოლ. განყ-ბა. ასწავლიდა ქართ. ენას თავდაპირველად პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში (1946–48), შემდეგ – პრაღის უნ-ტში (1953–61).

ჩეხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (1958 გამოაქვეყნა პოემის პროზაული, ხოლო შემდეგ პოეტური თარგმანი), ს.-ს. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის თხზულებანი, ქართ. ხალხ. ზღაპრები და სხვ.

ი. იკვლევდა ძვ. და თანამედროვე ქართ. ენას. გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართ. ენის მორფოლ. საკითხებზე („ძველი ქართული ენის სტრუქტურა“, 1961; „სიტყვანარმოება და ბრუნება ძველ ქართულში“, 1963 და სხვ.), ავტორია მრავალი წერილისა ქართვ. ენათმეცნიერებათა ნაშრომებზე, ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონზე, საქართველოში ძვ. ქართ. ენის, აგრეთვე აფხ. ენის შესწავლის მდგომარეობის შესახებ; აქვეყნებდა რეცენზიებს უცხოელი კავკასიოლოგების ნაშრომებზე.

თხზ.: ჩეხური ენა. ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის, თბ., 1972.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., იარომირ იედლიჩკა საქართველოში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, 28. VI; ლ ე ო ნ ი ძ ე გ., მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., ქართული კულტურის

მეგობარი, „კომუნისტი“ 1965, 18 აგვ., მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები. იარომირ იედლიჩკა, „სამშობლო“, 1970, 14 აგვ., Bedi Kartlisa. Revue de Kartvelologie, v. 21-22, P., 1966.

იარომირ იედლიჩკა საქართველოს შესახებ

<https://www.youtube.com/watch?v=BmVBqWOUmME&list=PLue6znsWl2Brix&index=138>

ი. მეგრელიძე
